COVID-19-ის პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში შეჯამებულია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან, 21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, Covid-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები და გამოკვეთილი სისტემური პრობლემები. მონაცემები მოძიებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SPM (გამარტივებული შესყიდვის სააგენტოსთან შეთანხმების) მოდულიდან და ელექტრონული ტენდერის მოდულიდან. 15 მაისამდე პერიოდის მონაცემები ეყრდნობა IDFI-ის მიერ გამოქვეყნებულ Covid-19-თან დაკავშირებული გასული ორი კვლევის ფარგლებში მოძიებულ მონაცემებს.

ძირითადი მიგნებები

21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით სასტუმროებისა და კლინიკების მომსახურების შესყიდვებში **200 მლნ ლარამდე** დაიხარჯა.

21 მარტიდან 15 ნოემბრის ჩათვლით სავალდებულო კარანტინის უზრუნველყოფისათვის საჭირო პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ **78 მილიონ ლარზე მეტი** დახარჯა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 ნოემბერის განკარგულებით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დამატებით გამოეყო **35 მილიონი ლარის** რესურსი, რაც უკვე დახარჯულ თანხასთან ერთად 100 მლნ ლარს აჭარბებს. დამატებითი რესურსით უნდა გაგრძელდეს კოვიდ სასტუმროების მობილიზება და ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების უზრუნველყოფა.

კლინიკებში დამატებითი საწოლების მობილიზების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტომ შესყიდვების სააგენტოსაგან, ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით, ჯამში **98.5 მილიონი ლარის** ღირებულების ხელშეკრულების შეთანხმება მოითხოვა.

საკარანტინე/საველე სივრცეებში მედპერსონალის უზრუნველსაყოფად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შეთანხმებული ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ **625,537 ლარი შეადგინა**, მხოლოდ ნოემბერში კი დამატებით 300,000 ლარამდე ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა.

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში **არ ხდება** ცალკე Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების გამოყოფა და მათი შესაბამისი ანალიზი, რისი მაგალითებიც მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში გვაქვს.

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციის ღია დამუშავებად ფორმატში მოპოვების შესაძლებლობა.

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში Covid-19-თან დაკავშირებული დოკუმენტები CMR და SMP მოდულებში ხშირ შემთხვევაში არასისტემურადაა განთავსებული, რაც დამუშავებად ფორმატში არარსებული მონაცემების ფონზე, კიდევ უფრო ართულებს ამ კატეგორიის შესყიდვების მონიტორინგს.

თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში საჯაროდ არ აქვეყნებენ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, მათ შორის Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების შემთხვევაშიც.

რეკომენდაციები

შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების ღია, დამუშავებად ფორმატში განთავსება.

შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს Covid-19-თან დაკავშირებული შესყიდვების ცალკე საფუძვლად გამოყოფა ან მსგავსი შესყიდვების შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება.

შესყიდვების სააგენტომ გააკონტროლოს გადაუდებელი აუცილებლობით მოთხოვნილი გამარტივებული შესყიდვების CMR მოდულში განთავსებისას შესაბამისი SMP კოდების მითითება შემსყიდველის მიერ.

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უზრუნველყონ გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების, კანონის შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნება. შესყიდვების სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი კონტროლი და ზედამხედველობა, რათა ასეთი შემთხვევები დროულად აღმოიფხვრას და არ დარჩეს ყურადღების მიღმა, ამასთან, შემოწმდეს ხელშეკრულების დაფარვის მიზანშეწონილობა.

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, მაქსიმალურად შეამცირონ გამარტივებული შესყიდვების გამოყენება ისეთი მომსახურებისა და პროდუქტების შესყიდვისას, რომელთა საჭიროება წინასწარ ცნობილია და შესაძლებელია მათი დაგეგმვა და კონკურენტული პირობებით ჩატარება.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ბასალა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.